



**რეგიონალური ტელევიზიების მონიტორინგი  
საპრეზიდენტო არჩევნები 2013**

**პროექტი # S-13-238**

**საანგარიშო პერიოდი: 16 სექტემბერი - 10 ნოემბერი, 2013 წელი**

**მონიტორინგის ძირითადი მიგნებებია:**

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობოდა დრო;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო ეთმობოდათ: მთავრობას, კოალიცია "ქართულ ოცნებას" და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას";
- სექტემბერში თითქმის არ გაშუქებულა საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები და საარჩევნო პროგრამები. ჟურნალისტები, ძირითადად, საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო შტაბების გახსნის შესახებ ავრცელებდნენ ინფორმაციას;
- 1 ოქტომბრიდან მკვეთრად გაიზარდა საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის (მათ შორის არაკვალიფიცირებული კანდიდატებისთვის) დათმობილი დრო;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ: კოალიცია "ქართული ოცნების", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" საპრეზიდენტო კანდიდატებს;
- ტელეკომპანიათა უმეტესობა არჩევნების დღეს (27 ოქტომბერი) საგანგებო რეჟიმში მუშაობდა და მაცურებელს ინფორმაციას ოპერატიულად აწვდიდა: საარჩევნო უბნებზე შექმნილი სიტუაცია და მიმდინარე მოვლენები მიუკერძოებლად და დაბალანსებულად შუქდებოდა;
- საარჩევნო კვირაში (21-27 ოქტომბერი) და არჩევნებიდან 2-3 დღის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დათმობილი დრო. ცესკოს წარმომადგენლები, ძირითადად, თავად საუბრობდნენ;
- სიუჟეტების უმეტესობა სუბიექტების აქტივობების შესახებ ზედაპირულ ინფორმაციას შეიცავდა და არ წარმოაჩენდა საკითხის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ ან კრიტიკულ მოსაზრებებს.
- არჩევნებამდე რეგიონალურ ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში მათთვის დათმობილი დრო შემცირდა, ხოლო არჩევნების შემდგომ პერიოდში ისევ მოიმატა. გაშუქება თითქმის ყოველთვის ნეიტრალური იყო;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებების მთავარი პრობლემა მოვლენების ზედაპირული გაშუქება იყო;

- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას, ძირითადად, ნეიტრალური ტონი სჭარბობდა;
- არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე სუბიექტების პირდაპირ და ირიბად გაშუქება თანაბრად ხდებოდა;
- ტელეკომპანიებმა საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამების შესახებ საინტერესო თოქ-შოუები მოამზადეს;
- თოქ-შოუების წამყვანები საკუთარ მოსაზრებებს ნაკლებად აფიქსირებდნენ და მოდერატორის ფუნქციას ასრულებდნენ;
- თოქ-შოუებში მიწვეულ სტუმრებს შორის პოლიტიკური ბალანსი, ძირითადად, დაცული იყო. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც დაფიქსირდა, როცა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები გადაცემაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ;
- ჟურნალისტები სტუმრებს საშუალებას აძლევდნენ ბოლომდე დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი და მიუკერძოებლად სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს;
- სიძულვილის ენა და არაეთიკური გამონათქვამები არც ერთი არხის გადაცემებში არ დაფიქსირებულა;
- რეგიონალურ ტელემაუწყებელთა სადამოს ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნები არ გამოვლენილა.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2013 წლის 16 სექტემბერი - 10 ნოემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

### ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი),

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალა" (ქ. ფოთი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. "პრაიმ-ტაიმის", როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებზე, სოციალურ რეკლამებზე.

### საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება,

რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები (კოალიცია), ეროვნული ფორუმი (კოალიცია), საქართველოს რესპუბლიკური პარტია (კოალიცია), საქართველოს კონსერვატიული პარტია (კოალიცია), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (კოალიცია), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, ასევე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ცალკ-ცალკე.

### **მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**

**"25-ე არხი" (ქ. ბათუმი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში საინფორმაციო გამოშვება „მაცნე“ ყოველდღე გადიოდა. სიუჟეტები მზადდებოდა როგორც რეგიონში, ისე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე.

27 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული მოვლენები ვრცლად გაშუქდა.


არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 24 წუთი დაუთმო. ამ დროის 35% აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტივობების და საკრებულოებში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას დაეთმო. მთლიანი დროის 15% წილად ხვდა კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებას, ხოლო 12% - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის".

პრეზიდენტობის კანდიდატებიდან 7 წუთზე ოდნევ მეტი დრო დაეთმო დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), თითქმის 6 წუთი ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") და 4 წუთზე ცოტა მეტი გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება"). ისინი ირიბად (დავით ბაქრაძე 74%, ნინო ბურჯანაძე 72%, გიორგი მარგველაშვილი 89%) შუქდებოდნენ. მათზე, ძირითადად, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს მხარდამჭერები ან ოპონენტები საუბრობდნენ.

მონიტორინგის სხვა სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი/ირიბის საუბრის მაჩვენებლები კი თითქმის თანაბრად გამოვლინდა. სუბიექტების მიმართ სამივე ტონში საუბრობდნენ, თუმცა ნეიტრალური სჭარბობდა.

საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ. სიუჟეტები, ძირითადად, დაბალანსებული იყო. ჟურნალისტები ცდილობდნენ მოვლენები ობიექტურად გაეშუქებინათ და ყველა დაინტერესებული მხარისთვის თანაბრად მიეცათ აზრის გამოთქმის საშუალება.

მოსახლეობისთვის აქტუალურ პრობლემებსა და სოციალურ თემებზე მომზადებულ სიუჟეტებში ჟურნალისტები კომენტარისთვის ხშირად მიმართავდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები მწვავე სოციალურ თემებს აშუქებდნენ, სიუჟეტებში არ შეინიშნებოდა მიკერძოებულობისა და დაუბალანსებლობის შემთხვევები.




"რიონი" (ქ. ქუთაისი) - მონიტორინგის პერიოდში 30-40 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება „დღის ამბები“ არხზე ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. ყოველი დღის ბოლოს კი, ეთერში „დღის ამბებში“ გასული რამდენიმე სიუჟეტი მეორდებოდა. კვირას ტელეკომპანია „რიონის“ საეთერო დრო გადაცემა „7 დღეს“ ეთმობოდა. არხის საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: პარლამენტში მიმდინარე პროცესები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პარტიების აქტივობები, პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრები, ქუთაისის მერიაში მიმდინარე მოვლენები, მოსახლეობის პრობლემები, საპროტესტო აქციები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები. საინფორმაციო გამოშვებებში შუქდებოდა ქვეყანაში განვითარებული პროცესებიც.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 11 საათი და 53 წუთი დაეთმოთ. არხმა ყველაზე ხანგრძლივად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობები გააშუქა (2 სთ. და 22 წთ.), 2 საათი დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“, საათი და 51 წუთი - ადგილობრივ ხელისუფლებას. მონიტორინგის სუბიექტები, ძირითადად, თავად საუბრობდნენ. თუმცა, საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებისას პირდაპირს ირიბი საუბარი სჭარბობდა: გიორგი მარგველაშვილი (81%), ნინო ბურჯანაძე (68%), დავით ბაქრაძე

(56%), გიორგი თარგამაძე (54%), შალვა ნათელაშვილი (68%). ირიბი საუბარი ასევე მეტი იყო ასევე პრემიერ-მინისტრის (61%) და მთავრობის (55%) შემთხვევებში.

მონიტორინგის დასაწყისში (სექტემბრის მეორე ნახევარი) საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებული ინფორმაციები ნაკლებად გადაიცემოდა. ხოლო ოქტომბრიდან, წინასაარჩევნო კამპანიის გააქტიურების პარალელურად, მათთვის დათმობილმა დრომ მკვეთრად მოიმატა. საარჩევნო კვირაში (21-27 ოქტომბერი) და არჩევნებიდან 2-3 დღის განმავლობაში აქტიურად შუქდებოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიაც. არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს ტელეკომპანია „რიონის“ საინფორმაციო გამოშვების გუნდი საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. ეთერში გასული ყველა სიუჟეტი არჩევნებს შეეხებოდა.

საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტები ახალ ამბებს დროულად, მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები მშრალად, ანალიზის გარეშე შუქდებოდა. სიუჟეტებში, ძირითადად, დაცული იყო ბალანსი და წარმოდგენილი იყო დაინტერესებულ მხარეთა პოზიციები. ჟურნალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამყარებული იყო რესპონდენტების კომენტარებით და ინფორმაციის წყაროს მითითებით.



ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საანგარიშო პერიოდში ტელემარშრუტის ეთერში 20-35 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ ორშაბათიდან



შაბათის ჩათვლით გადიოდა. კვირას კი საეთერო დრო სპეციალურ გამოშვება „კვირის ქრონიკას“ ეთმობოდა, სადაც კვირის მნიშვნელოვანი ამბები იყო თავმოყრილი.

საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შექდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების (რუსთავის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მათი მოადგილეები) აქტივობები, ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებები. "ქრონიკის" ბოლოს წამყვანი მაყურებელს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აცნობდა. თუმცა, ცენტრალური ამბების გაშუქებას გაცილებით ნაკლები დრო ეთმობოდა. პოლიტიკური გაერთიანებებისა და პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქება გადაცემის შუა და დასკვნით ნაწილში ხდებოდა.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს არხზე 23 საათსა და 30 წუთზე სპეციალური გამოშვება გავიდა, რომელშიც ეგზიტპოლების და ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველადი მონაცემები გაშუქდა.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 5 საათი და 27 წუთი დაეთმო. ამ დროის 39% ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაეთმო, 16% - კოალიცია "ქართული ოცნების", 14% - მთავრობის. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დროით გიორგი მარგველაშვილი (კოალიცია "ქართული ოცნება") იყო წარმოდგენილი. მისთვის დათმობილი 15 წუთიდან 78% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. გაშუქების 10 წუთი (პირდაპირი საუბრის 61%) ჰქონდა გიორგი თარგამაძეს ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), 8 წუთი - დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"). ბაქრაძის პირდაპირი/ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბრად გადანაწილდა.


პირდაპირი საუბრისთვის ყველაზე მეტი დრო (65%) კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. ეს მახასიათებელი მაღალი იყო "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (64%) და პრეზიდენტის (76%) შემთხვევებშიც. თუმცა, მათთვის დათმობილი დრო ბევრად ნაკლები იყო კოალიციისთვის დათმობილ დროზე.

მონიტორინგის სუბიექტები, დიდწილად, ნეიტრალურად შექდებოდნენ, მხოლოდ 7 სუბიექტის მიმართ გამოვლიდა უმნიშვნელო უარყოფითი ტონი.

საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკურ თემებთან ერთად დიდი დრო ეთმობოდა სოციალურ თემებზე და რეგიონში განხორციელებულ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მომზადებულ სიუჟეტებს. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა დადებითად ან ნეიტრალურად, კრიტიკის გარეშე შექდებოდა.

ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად, სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტებში ყოველთვის იყო წარმოდგენილი ფაქტის დამადასტურებელი კადრები და კომენტარები. შესაბამისად, სიუჟეტები, ძირითადად, დაბალანსებული იყო.

24 ოქტომბერს გასულ საინფორმაციო გამოშვებაში დაფიქსირდა სიძულვილის ენის შემცველი განცხადება. სიუჟეტში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბოლნისისა და დმანისის მოსახლეობასთან შეხვედრას შეეხებოდა გაშუქდა მიხეილ სააკაშვილის განცხადება: "ველარავინ ველარასდროს უნდა დააბრუნოს ბანდიტები ჩვენს ქუჩებში, ვერავინ ველარასდროს ველარ წაგვართვას ჩვენი ქონება მოპოვებული, ვერავინ ველარასდროს დაგიძახოთ თქვენ **თათრები**, როგორც იყო! იმიტომ, რომ ჩვენ შევკმენით ახალი საქართველო." წამყვანმა სიუჟეტის წარდგენისას განაცხადა: „ქვეყნის პირველი პირი ბოლნისისა და დმანისის მოსახლეობას შეხვდა. ვერავინ ვერასოდეს ვერ უნდა დაგიძახოთ თათრები - ასე მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა დმანისისა და ბოლნისის სოფლების აზერბაიჯანულ მოსახლეობას.“ მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის განცხადება მიმართული იყო სიძულვილის ენის აღმოფხვრისაკენ, უმჯობესი იქნებოდა, ჟურნალისტის მიერ გაკეთებული პერიფრაზი ეთერში არ გასულიყო.




"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „ოდიშის“ 10-15 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება "დრო" 22:00 საათზე გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში, მეტწილად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა: რეგიონში

განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, სოციალური თემები, კულტურული ღონისძიებები.

საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 2 წუთი "ინფოლენტს" ეთმობოდა. მასში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები მოკლედ იყო გადმოცემული. კერძოდ, 15 წამის განმავლობაში პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მოკლე ტექსტის სახით აჩვენებდნენ. ხშირად ციტატასთან ერთად ეკრანზე მისი ავტორის ფოტოც ჩანდა. "ინფოლენტებში" არ დაფიქსირებულა ტექსტისა და ფოტოს შეუსაბამობის, ფოტოთი და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 32 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 37% მთავრობის და პრემიერ-მინისტრის აქტივობების გაშუქებას მოიცავდა. 17-17 წუთი დაეთმოთ პრეზიდენტს და კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს. არხმა ასევე გააშუქა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის" საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიების მიმდინარეობა სამეგრელოში.

არხის საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები ახალი ამბების მოკლე გაშუქებით შემოიფარგლებოდა. ჟურნალისტები ფაქტებს მშრალად გადმოსცემდნენ და მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ. მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო თითქმის არ ეთმობოდათ. უმეტეს შემთხვევებში დროის 80-90% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში ხდებოდა.



**"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე)** - საანგარიშო პერიოდში, ტელემარშრუტის სადამოს ეთერში საინფორმაციო გამოშვება „ექო“ ყოველდღე გადიოდა. ახალი ამბების გამოშვებებში ნაკლები დრო ეთმობოდა ზოგადად ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. იგი, ძირითადად, რეგიონის სიახლეების გაშუქებაზე იყო ორიენტირებული.

საარჩევნო კვირაში (21-27 ოქტომბერი) ტელეკომპანია პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ მომზადებული სიუჟეტები 5-6 სიუჟეტად, ერთმანეთის მიყოლებით, გადაიცემოდა ეთერში. არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს ეთერში ახალი ამბების სპეციალური გადაცემაც გავიდა.


მონიტორინგის პერიოდში, არხის საინფორმაციო გამოშვებებში დაკვირვების ქვეშ მყოფ სუბიექტებს 3 საათი და 15 წუთი დაეთმო. აქედან, 25% მთავრობის, 17% ადგილობრივი ხელისუფლების, ხოლო 14% კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობების გაშუქებას დაეთმო. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დროით (13 წთ.) კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გაშუქდა. მას 8 წუთით მოჰყვება ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"). გაშუქების 4-4 წუთი ჰქონდათ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატებს. საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების დაბალ მაჩვენებელს ჟურნალისტები რეგიონში მათ მცირე წინასაარჩევნო აქტივობებს უკავშირებდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 22 სექტემბრის კვირის შემაჯამებელ საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტიც მომზადდა (სიუჟეტი 29 სექტემბრის გამოშვებაში გამეორდა). შესაბამისად, პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებაც უმეტესწილად ირიბად ხდებოდა. მხოლოდ დავით ბაქრაძისთვის დათმობილი დროის 61% მოდიოდა პირდაპირ საუბარზე.

მონიტორინგის დანარჩენი სუბიექტების გაშუქებაც, ძირითადად, ირიბი საუბრით ხდებოდა. თუმცა, კომენტარისთვის ყველას თითქმის თანაბრად ეთმობოდა დრო.

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი, მოვლენები დროულად და ფაქტებზე დაყრდნობით შუქდებოდა. ჟურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებელად, საკუთარი შეფასებების გარეშე აშუქებდნენ. ცდილობდნენ წინასაარჩევნო კამპანიების შესაძლო დარღვევებზე გამოევიწყინათ. მაგალითად, 15 ოქტომბრის გამოშვების სიუჟეტში, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის მოსახლეობასთან შეხვედრას აშუქებდა, საუბარი იყო სასწავლო პროცესის დროს სკოლის მოსწავლეების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე მან კითხვით მიმართა გიორგი მარგველაშვილის პრეს-სამსახურს, რაზეც

მარგველაშვილის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მსგავსი ფაქტი შეხვედრაზე არ დაფიქსირებულა.

ჟურნალისტები ცდილობდნენ ყველა მხარის პოზიციის თანაბრად წარმოეჩინათ.



"თანამგზავი" (ქ. თელავი) - ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვებები ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, საღამოს ეთერში ორჯერ გადიოდა. "ახალი ამბების" 20-30 წუთიან გამოშვებებში კახეთის რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გადმოსაცემად დრო თითქმის თანაბრად იყო განაწილებული. საინფორმაციო გამოშვებების პირველ ნაწილში, ძირითადად, რეგიონის ახალ ამბებზე მომზადებული სიუჟეტები გადიოდა: პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები კახეთის რეგიონში, სოციალური თემები, ინფრასტრუქტურული პროექტები, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, კულტურული თუ სხვა ღონისძიებები. ხოლო მეორე ნაწილი ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებას ეთმობოდა. არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს "ახალი ამბების" ჟურნალისტები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში არჩევნების დღეს განვითარებულ მოვლენებს ამომწურავად მიმოიხილავდნენ: აღწერდნენ საარჩევნო უბნებზე შექმნილ სიტუაციას, აშუქებდნენ საარჩევნო კომისიის წევრების კომენტარებს.

არჩევნების შემდგომი პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება შემცირდა. უფრო მეტი ყურადღება რეგიონში განვითარებულ მოვლენებს და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს ექცეოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში 10 საათი დაეთმო. ამ დროის 24% მთავრობაზე მოდიოდა, 13% - კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“, 12% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო, 24 წუთი, გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება") დაეთმო. გაშუქების 17-17 წუთი ჰქონდათ დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის"). მათ შორის გაშუქების ყველაზე მაღალი დადებითი მაჩვენებელი (41%) გიორგი მარგველაშვილს ჰქონდა, ხოლო პირდაპირი საუბრით გაშუქება - დავით ბაქრაძეს (59%). კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის პოზიტიურად გაშუქების მაღალი მაჩვენებელი, უმეტესწილად, არჩევნების შედეგების შესახებ რესპონდენტების მიერ გაკეთებულმა დადებითმა კომენტარებმა განაპირობა.


მონიტორინგის სუბიექტებს, ძირითადად, ნეიტრალურად აშუქებდნენ. ხოლო მათთვის დათმობილი დროის საშუალოდ 30-50% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში არ გასულა სიუჟეტები, სადაც დარღვეული იყო ბალანსი. ჟურნალისტები ახალ ამბებს სუბიექტური შეფასების გარეშე გადმოსცემდნენ, თუმცა მონიტორინგის პერიოდში ყურადღება მიიქცია 2 ოქტომბერს გასულმა სიუჟეტმა „2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დღის წინა დამეს მოკლული 10 თვის ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალებიდან ერთი წელი შესრულდა“. სიუჟეტში თანაბრად იყო წარმოდგენილი ყველა მხარე და მეტ-ნაკლებად დაცული იყო ბალანსი, მაგრამ გარდაცვლილი ბავშვის ქვევრიდან ამოყვანის მძიმე კადრები დაუფარავად გავიდა, ჩანდნენ მგლოვიარე ოჯახის წევრები და ნათესავები. ამ კადრების ეთერში გაშვება ეწინააღმდეგება „მაუწყებელთა ქვევის კოდექსს“.<sup>1</sup>

საინფორმაციო გამოშვებებში ჟურნალისტები პოლიტიკური გაერთიანებებისა და მათი საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებს მიუკერძოებლად და ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა, ისინი ფაქტების მოკლე და ზუსტი გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებად ამზადებდნენ ანალიტიკურ სიუჟეტებს.

<sup>1</sup> მუხლი 35. მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)

მაუწყებელმა არ უნდა გადაიღოს ან გაავრცელოს მასალა, რომელშიც ასახულია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულები ან პიროვნება პირადი ტრაგედიის ან მწუხარების დროს, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ან დაკრძალვაზე, როდესაც ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ხელყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიღებულია პირის თანხმობა. პირის გარდაცვალების შემთხვევაში საჭიროა ოჯახის წევრების თანხმობა.



"თრიალეთი" (ქ. გორი) - ტელეკომპანია „თრიალეთის“ საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, რეგიონში მიმდინარე მოვლენები შექცდებოდა. დიდი დრო ეთმობოდა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებზე მომზადებულ სიუჟეტებს. 15-25 წუთიანი საინფორმაციო გადაცემები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. შაბათის საინფორმაციო გამოშვების პირველ ნაწილში კვირის განმავლობაში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან ამბებზე მომზადებული სიუჟეტები მეორდებოდა, გადაცემის მეორე ნაწილი კი ზოგჯერ, მიწვეულ სტუმრებს ეთმობოდათ. მონიტორინგის დასაწყისში მხოლოდ შაბათის გადაცემას ჰყავდა წამყვანი, თუმცა მონიტორინგის ბოლო ორი კვირის მანძილზე ყველა საინფორმაციო გამოშვებას წამყვანი უძღვებოდა.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს ახალი ამბების სპეციალური გამოშვება მომზადდა, რომელშიც ამომწურავად გაშუქდა საარჩევნო უბნებზე არსებული მდგომარეობა.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 4 საათი და 38 წუთი დაეთმოთ: 27% ადგილობრივ ხელისუფლებას, 20% - მთავრობას, 14% - "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას".


პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო, 11 წუთი, შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია") დაეთმო, 9 წუთი - ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული

მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის"), ხოლო 8 წუთი - გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება").

შალვა ნათელაშვილისთვის დათმობილი დროის 79% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. 63% პირდაპირი საუბრით გაშუქდა ნინო ბურჯანაძეც, ხოლო გიორგი მარგველაშვილის გაშუქებისას 70%-იანი ირიბი საუბარი დაფიქსირდა. ეს მაჩვენებელი ასევე მაღალი იყო პრემიერ-მინისტრის (78%), მთავრობის (57%) და კოალიცია "ქართული ოცნების" (56%) გაშუქებისას. ამ სუბიექტების ირიბად გაშუქების მაღალმა მაჩვენებელმა გარკვეულწილად განაპირობა მათ მიმართ გამოვლენილი მაღალი ნეგატიური ტონი. მაგალითად, 18 სექტემბრის გადაცემის სიუჟეტში, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილის ("ლეიბორისტული პარტია") სოფელ დიგში ჩასვლის შესახებ მომზადდა, პრემიერის მისამართით ნეგატიური განცხადებები გაკეთდა. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი რამდენიმე საინფორმაციო გამოშვებაში გამეორდა. 5 ოქტომბრის გადაცემაში სტუმრად მიწვეულმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, ანდრო ბარნოვმა პრემიერისა და კოალიცია "ქართული ოცნების" საქმიანობაზე უარყოფით კონტექსტში ისაუბრა.

მთლიანობაში, მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას ნეიტრალური ტონი სჭარბობდა. ჟურნალისტები ახალ ამბებს დროულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. სიუჟეტები მოვლენების მოკლე და დაბალანსებული გაშუქებით ხასიათდებოდა. ჟურნალისტები ფაქტებს ნეიტრალურად, საკუთრი მოსაზრებების დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. თუმცა, ცდილობდნენ სხვადასხვა სოციალური საკითხების და პრობლემების გაშუქებისას მოსახლეობისთვის საინტერესო ყველა მწვავე კითხვაზე მიეღოთ პასუხი.





"გურია" (ქ. ოზურგეთი) - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ფაქტი“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. 10-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, გურიის რეგიონის დღის მთავარ ამბებზე მომზადებული სიუჟეტები გადიოდა. თუმცა, შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე მთავარი მოვლენებიც.


საანგარიშო პერიოდში „გურიაში“ მონიტორინგის სუბიექტებს 2 საათი დაუთმო. ყველაზე ხანგრძლივად ეთერში მთავრობის (35 წთ.) და ადგილობრივი ხელისუფლების (20 წთ.) აქტივობები გაშუქდა. პოლიტიკური გაერთიანებებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას" (14 წთ.) და კოალიცია "ქართულ ოცნებას" (8 წთ.). ოთხივე სუბიექტისთვის დათმობილი დროის 50-60% პირდაპირ გაშუქებაზე მოდიოდა.

საარჩევნო კვირის (21-27 ოქტომბერი) საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა საპრეზიდენტო კანდიდატების შეხვედრები მოსახლეობასთან. თუმცა, ნაკლები იყო კრიტიკული სიუჟეტები და ეთერში მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატთა მხარდამჭერი მოქალაქეების კომენტარები ხვდებოდა. კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილისთვის დათმობილი 6 წუთიდან 81% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. უმეტესწილად ირიბად გაშუქდნენ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატებიც: გიორგი თარგამაძე - 60%, დავით ბაქრაძე - 85%. თუმცა მათთვის დათმობილი დრო გაცილებით ნაკლები იყო. ხოლო

ნინო ბურჯანაძისთვის ("დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის") დათმობილი 4 წუთი თანაბრად გადანაწილდა პირდაპირ და ირიბ საუბარზე.

სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურად შუქდებოდნენ. მათ მიმართ გამოვლენილი მცირე ნეგატიური ტონის მიზეზი, უმეტესწილად, ოპონენტების მიერ ერთმანეთის (ადგილობრივი ხელისუფლების შემთხვევაში - მოქალაქეების) შესახებ გაკეთებული კომენტარების შედეგი იყო და არა ჟურნალისტების სუბიექტური და კრიტიკული დამოკიდებულების.

ჟურნალისტები მოვლენებს დაბალანსებულად, თუმცა მშრალად აშუქებდნენ, თავს იკავებდნენ შეფასებების გაკეთებისგან და ფაქტებს მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ.



**იმერვიზია" (ქ. ჭიათურა)** - მონიტორინგის დასაწყისში (16 სექტემბერი - 8 ოქტომბერი) „იმერვიზიის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ კვირაში ორჯერ (სამშაბათი, პარასკევი) გადიოდა. 9 ოქტომბრიდან არხმა ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებების მომზადება დაიწყო. „ახალი ამბები“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 19:00 საათსა და განმეორებით 21:20 საათზე გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში გასული დღის სიახლეები, ძირითადად, ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში განვითარებულ მოვლენებსა და ქვეყნის მთავარ ამბებს შეეხებოდა. პოლიტიკური და საარჩევნო თემატიკის გარდა საინფორმაციო გამოშვებებში სოციალური თემები, ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობები და სხვადასხვა ღონისძიებები შუქდებოდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებამ მკვეთრად მოიმატა. წინასაარჩევნო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში გადიოდა სიუჟეტები, რომლებიც საარჩევნო უბნებში არსებულ მდგომარეობას შეეხებოდა, ჟურნალისტები არკვევდნენ იყო თუ არა მოგვარებული ყველა საკითხი საპრეზიდენტო არჩევნების ხარვეზების გარეშე ჩასატარებლად.

27 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში დეტალურად იყო მიმოხილული არჩევნების მიმდინარეობა, როგორც ჭიათურასა და საჩხერეში, ასევე მთელს ქვეყანაში.


საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს არხმა 6 საათი და 34 წუთი დაუთმო. ამ დროის 37% კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებას დაეთმო, 16% - ადგილობრივი ხელისუფლების, 12% - მთავრობის.

კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს თითქმის 28 წუთი დაეთმო. გაშუქების 18 წუთი ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"). გაშუქდნენ სხვა კანდიდატებიც, თუმცა მათ შედარებით ნაკლები დრო დაეთმოთ. პრეზიდენტობის კანდიდატები, ძირითადად, ირიბად შუქდებოდნენ. პირდაპირი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ორი ყველაზე ხანგრძლივად გაშუქებული სუბიექტის მიმართ გამოვლინდა: კოალიცია "ქართული ოცნება" - 72%, ადგილობრივი ხელისუფლება - 80%.

მონიტორინგის სუბიექტები არხზე ძირითადად ნეიტრალურად შუქდებოდნენ. საკმაოდ დაბალი იყო ნეგატიური ტონი, რომელიც მხოლოდ სამი სუბიექტის მიმართ დაფიქსირდა.

ჟურნალისტები რეგიონში არსებული პრობლემების წარმოჩენას ცდილობდნენ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ზოგჯერ კრიტიკულ კითხვებსაც უსვამდნენ, თუმცა სიუჟეტების ავტორები, ძირითადად, ფაქტების მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ.

სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო. რესპონდენტებს მაქსიმალურად ეძლეოდათ საკუთარი აზრისა და პოზიციების დაფიქსირების საშუალება. გაშუქებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ მიკერძოებული შეფასებების გაკეთების შემთხვევები არ გამოვლენილა.



"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - მონიტორინგის პერიოდში არხზე საინფორმაციო გადაცემა „დღეს“ ყოველდღიურად გადაიცემოდა. 20-30 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში შუქდებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყანაში განვითარებული მოვლენები: კახეთის რეგიონში მომხდარ დღის მთავარ მოვლენებთან დაკავშირებით ვრცელი სიუჟეტები მზადდებოდა, ხოლო რუბრიკაში "რეგიონსგარეთ განვითარებული მოვლენები" ქვეყანაში მომხდარი მთავარი ამბები შუქდებოდა.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს არხის ეთერში ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გავიდა, რომელიც მთლიანად საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას, დარღვევებსა და ეგზიტპოლების შედეგებს შეეხებოდა. არჩევნების შემდგომ პერიოდშიც მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი, სადაც არჩევნების მიმდინარეობა და შედეგები იყო მიმოხილული.


ტელემაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 4 საათი დაეთმო. ამ დროის ნახევარზე მეტი, 58% მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობების გაშუქებაზე მოდიოდა. პოლიტიკური გაერთიანებებიდან ყველაზე მეტი დრო "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (20 წთ.) და კოალიცია "ქართულ ოცნებას" (15 წთ.) დაეთმო. მათთვის დათმობილი დრო ბევრად აღემატებოდა მათი საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებისთვის დათმობილ დროს. არხის საინფორმაციო გამოშვებებში 5 წუთზე მეტი დროით პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატი არ გაშუქებულა. მათთვის დათმობილი დროის 60% ირიბ საუბარზე მოდიოდა. მხოლოდ

"ლეიბორისტული პარტიის" კანდიდატი შალვა ნათელაშვილი გაშუქდა 62% პირდაპირი საუბრით (დათმობილი დრო თითქმის 3 წუთი).

მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების დროის 55-60%-იც პირდაპირ გაშუქებას ეთმობოდა.

სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურად შუქდებოდნენ, თუმცა გამოვლინდა დადებითი და უარყოფითი გაშუქების მაჩვენებლებიც. ეს რესპონდენტთა კომენტარებით იყო განპირობებული და არა ჟურნალისტების მიერ მოვლენების მიკერძოებულად გაშუქებით. ხელისუფლების მიმართ ისინი ხშირად სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და ცდილობდნენ მათგან კონკრეტული პასუხები მიეღოთ. სიუჟეტებში მსჯელობის დამადასტურებელი ფაქტები ყოველთვის იყო მოწოდებული. ვრცელი სიუჟეტები პრობლემას ამომწურავად წარმოაჩენდნენ და ყოველთვის დაბალანსებული იყვნენ რესპონდენტების კომენტარებით.

ჟურნალისტები მოვლენებს ოპერატიულად აშუქებდნენ. მაყურებელს საშუალება ჰქონდა თემის გარშემო სხვადასხვა მოსაზრებები მოესმინა.




„მეგა ტვ“ (ქ. ხონი) - მონიტორინგის პერიოდში საინფორმაციო გამოშვება „მთავარი დღეს“ ტელემაუწყებლის ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. 20-30 წუთიან ახალი ამბების გამოშვებებში რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხები შუქდებოდა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მოიმატა

საარჩევნო თემატიკის გაშუქებამ. კერძოდ, უფრო აქტიურად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო კამპანიები. მათ შესახებ მომზადებული სიუჟეტები, ძირითადად, ერთმანეთის მიყოლებით გადაიცემოდა ეთერში.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 4 საათი და 7 წუთი დაეთმო. ამ დროის 22% და 20% ადგილობრივი ხელისუფლების და მთავრობის აქტივობების გაშუქებას დაეთმო. პრეზიდენტს გაშუქების 35 წუთი ჰქონდა, რომლის 72% პირდაპირ საუბარს შეადგენდა. პირდაპირი საუბარი მაღალი იყო პრემიერ-მინისტრის შემთხვევაშიც: მისთვის დათმობილი 29 წუთიდან 81% პირდაპირ გაშუქებაზე მოდიოდა, 74% პირდაპირი საუბრით გაშუქდა ადგილობრივი ხელისუფლებაც. მონიტორინგის სხვა სუბიექტების შემთხვევებშიც პირდაპირი საუბარი ოდნავ, მაგრამ სჭარბობდა ირიბს. ირიბი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (72%) კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ გამოვლინდა.

სუბიექტების მიმართ, უმეტესწილად, ნეიტრალური ტონი სჭარბობდა, თუმცა დაფიქსირდა ნეგატიურად და პოზიტიურად გაშუქების მაჩვენებლებიც.

მთლიანობაში, საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად შუქდებოდა. ჟურნალისტები ფაქტებს მოკლედ, ანალიზისა და შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ. დიდი დრო ეთმობოდა რესპონდენტების ინტერვიუებს, თუმცა არაკორექტული კომენტარები არ გაკეთებულა.



**"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი)** - საინფორმაციო გამოშვება „კურსორი“ ტელეკომპანია „მეცხრე ტალღის“ ეთერში ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა. არხმა საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს 2 საათი და 45 წუთი დაუთმო.


10-20 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები, ძირითადად, რეგიონში მიმდინარე მოვლენებს შეეხებოდა. მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა სოციალურ თემატიკას და მოსახლეობის პრობლემების გაშუქებას. საინფორმაციო გამოშვებებში ასევე გადიოდა „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა“ და პარტნიორი ტელეკომპანიების მიერ მომზადებული სიუჟეტები. საპრეზიდენტო კანდიდატები, ძირითადად, „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ მომზადებულ სიუჟეტებში შუქდებოდნენ.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს არხის საინფორმაციო გამოშვების ჯგუფი საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. „მე-9 ტალღა“ აქტიურად აშუქებდა ფოთში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს.

„კურსორში“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე ხანგრძლივად ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა. მისთვის დათმობილი 35 წუთიდან 60% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 32 წუთი დაეთმო, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას - 29 წუთი. 8 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს, გაშუქების 6 წუთი ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"), ხოლო 3 წუთი - დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"). მათთვის დათმობილი დროის დიდი წილი ირიბ საუბარზე მოდიოდა. 100%-იანი ირიბი გაშუქება ჰქონდა პრემიერ-მინისტრს.

ახალი ამბების გადმოცემის დროს ჟურნალისტები საკუთარ მოსაზრებებს არ აფიქსირებდნენ. ისინი ნაკლებად ამზადებდნენ ანალიტიკურ, სიღრმისეულ სიუჟეტებს. საინფორმაციო გამოშვებებში გასულ სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო. საეთერო დრო ყველა მხარეს თანაბრად ეთმობოდა, მათ შორის პირდაპირი საუბრისთვის.

ჟურნალისტები დღის ამბების გაშუქების დროს შეფასებებს არ აკეთებდნენ. ისინი, მხოლოდ ფაქტებს გადმოსცემდნენ. ადგილობრივ ხელისუფლებაზე სიუჟეტების მომზადებისას, ჟურნალისტები ცდილობდნენ საკრებულოში წარმოდგენილი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მოსაზრებების გაშუქებას.



### საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

### მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუები "დილოგი" (კვირაში ოთხჯერ) და "უპასუხეთ ხალხს" (კვირაში ერთხელ) გადიოდა.



8 ოქტომბერს ეთერში გავიდა თოქ-შოუ „არჩევანი 2013“, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუები ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს მიჰყავდა.

გადაცემებში მიწვეული ერთი ან რამდენიმე სტუმარი პირდაპირ ეთერში წამყვანის და მაყურებლის მიერ დასმულ კითხვებს პასუხობდა, ხშირად იმართებოდა დებატებიც.

თემების თვალსაზრისით გადაცემები მრავალფეროვანი იყო. თოქ-შოუებში განსახილველი თემების გარშემო მომზადებულ სიუჟეტებსაც უჩვენებდნენ. კვლევის მეორე პერიოდში მოიმატა პოლიტიკური თემების გაშუქებამ. გადაცემებში შემდეგი საკითხები განიხილებოდა:

- არჩევნები: საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამები, კანდიდატების წარსული, წინასაარჩევნო კამპანია, დებატები საპრეზიდენტო კანდიდატების შტაბის ხელმძღვანელებს შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და არჩევნები, არჩევნების შედეგები;
- მთავრობა: ათთვიანი საქმიანობის შედეგები, კოალიციური მთავრობის მომავალი, მთავრობის საარჩევნო აქტივობები, ხელფასების ზრდა ჯანდაცვის სექტორში, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების განცალკევება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა;
- აჭარის მთავრობა: აჭარის უმაღლესი საბჭოს დაფინანსება იზრდება, VIP პერსონები აჭარის მთავრობაში, აჭარის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიები;
- აჭარა: ახალი და ძველი ინვესტიციები აჭარაში, ტურიზმის 4 სეზონი, სამოქალაქო მოძრაობა “ბათუმელების” დაფუძნება, ბათუმის თვითმმართველობის პროექტები, გონიოს ციხესთან არსებული მიწის ნაკვეთების ბედი, ჰესი მდინარე კინტრიშზე;
- აჭარის ტელევიზია,
- ბიზნესმენი სამართალს ეძებს და იუსტიციის მინისტრს მიმართავს;
- სტუდენტური ჩართულობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილ პროექტებში ;
- მანდატურები ქურდული სამყაროს წინააღმდეგ;
- შრომითი უფლებები;
- უსაფრთხო გარემო;
- ნოტარიუსთა გაზრდილი უფლებები;
- მოხუცებულთა დღე;
- თანაინვესტირების ფონდი;

- მასწავლებლების სერთიფიცირების წესის შეცვლა;
- საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარება;
- 2007 წლის შვიდ ნომბერს სტუდენტების დარბევის ფაქტის გამოძიების მოთხოვნა;

თოქ-შოუები მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. გადაცემებში მხარეები, ძირითადად, დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი. პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და აჭარის მთავრობის წარმომადგენლებს, მოქალაქეებს (სატელეფონო ჩართვებით) საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება თავისუფლად ეძლეოდათ.

გადაცემის წამყვანი საკუთარ შეხედულებებს არ აფიქსირებდა და ცდილობდა დებატებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალისთვის თანაბარი დრო დაეთმო. ზოგჯერ სტუმრებსა და წამყვანს შორის ცხარე დისკუსიებიც იმართებოდა. ჟურნალისტი ცდილობდა ობიექტური და მიუკერძოებელი ყოფილიყო. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამთავრობო გუნდის მიმართ ხშირად კრიტიკულ კითხვებს სვამდა. გადაცემის წამყვანი, ძირითადად, მედიატორის როლში გვევლინებოდა და სტუმრებს თანაბარ პირობებში აყენებდა. იგი ცდილობდა დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიეღო.

**„რიონი“ (ქ. ქუთაისი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „რიონზე“ თოქ-შოუები: **„დიאלოგი“** (ორშაბათი), **„თემა“** (სამშაბათსა, პარასკევი) ბადრი კაპეტივადის სახელობის საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბის გადაცემა **„ღია სამოქალაქო საზოგადოება“** (პარასკევი) გადიოდა.

22 ოქტომბერს ეთერში გავიდა **თოქ-შოუ „არჩევანი 2013“**, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუს "არჩევანი-2013" სტუმარი მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ პრეზიდენტობის კანდიდატი სერგო ჯავახიძე იყო. სტუდიაში ასევე უნდა ყოფილიყო პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, თუმცა როგორც წამყვანმა აღნიშნა, ის მოულოდნელად თბილისში გაემგზავრა, ამიტომ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა „რიონის“ მაყურებელს გადაცემის მეოთხე ბლოკში სატელეფონო ჩართვის საშუალებით მიმართა.

თოქ-შოუები „თემა“ და „დიალოგი“ ძირითადად ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში გადაცემებს ჟურნალისტი ხატია ბაბუნაშვილიც უძღვებოდა.

თოქ-შოუების თემები იყო:

- საპრეზიდენტო კანდიდატ ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა და პროგრამა;
- საპრეზიდენტო კანდიდატების ქუთაისის საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელების მიერ საარჩევნო გარემოს შეფასებები;
- საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები;
- წინასაარჩევნო კამპანიის ტექსტები და ქვეტექსტები. რას სთავაზობენ საპრეზიდენტო კანდიდატები მოსახლეობას;
- უმაღლესი განათლება;
- ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესები;
- სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებები;
- 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობა ქუთაისში;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე;
- საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამოქალაქო სოლიდარობის“ საქმიანობა;
- სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში;
- პარლამენტის შენობის ქუთაისიდან თბილისში გადატანის საკითხი;
- სოჭის ოლიმპიური თამაშები. უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები სოჭის ოლიმპიადაზე;

თოქ-შოუები სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თემებიდან გამომდინარე გადაცემის სტუმრები იყვნენ: პოლიტიკური პარტიების ქუთაისის ორგანიზაციების წარმომადგენლები, საპრეზიდენტო კანდიდატების შტაბის ხელმძღვანელები, მედიის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. გადაცემებს ასევე სტუმრობდნენ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები. 30 სექტემბრის გადაცემაში მიწვეული იყო „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე.

გადაცემებში, სატელეფონო ზარის საშუალებით, აქტიურად იყო ჩართული მაყურებელი. ჟურნალისტები საინტერესო კითხვებს სვამდნენ, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევდა თოქ-შოუში წამოჭრილ თემებზე ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ. ზოგჯერ, ჟურნალისტები სტუმრებთან დიალოგის დროს, გადაცემის თემასთან დაკავშირებით საკუთარ შეფასებებსაც აკეთებდნენ, თუმცა მიკერძოების გარეშე. ისინი ცდილობდნენ ფაქტები გაეანალიზებინათ.

დებატების დროს წამყვანები მედიატორის როლს ასრულებდნენ. ისინი მხარეთა შორის ბალანსს ინარჩუნებდნენ და სტუმრებს დიალოგის კორექტულად წარმართვისკენ მოუწოდებდნენ.

მონიტორინგის ქვეშ ასევე მოექცა ბადრი კაპეტივაძის სახელობის საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბის გადაცემა „ღია სამოქალაქო საზოგადოება“. ერთსაათიანი გადაცემა თემების და სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა:

- არჩევნები;
- კოალიცია "ქართული ოცნების" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოჰაბიტაცია;
- თვითმმართველობის შესახებ კანონი;
- ქუთაისის ხელისუფლება;
- გუბერნატორების როლი;
- პარლამენტის თბილისში გადატანის საკითხი;
- უწყვეტი კავშირი ხელისუფლებასა და ხალხს შორის;
- საზოგადოების გავლენა ხელისუფლებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა ზრდა;
- ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და სამოქალაქო მართვის დამკვიდრება.

გადაცემის ფორმატი თავისუფალია. წამყვანის, კლუბის პრეზიდენტის და სტუმრის საუბარი ამა თუ იმ თემაზე დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა. ისინი თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე გამოთქვამდნენ აზრს და საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებდნენ. წამყვანმა გადაცემის მსვლელობისას სხვადასხვა საკითხზე საკუთარი შეხედულება არაერთხელ დააფიქსირა.

**ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი)** - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ქვეშ ტელემუწყებლის თოქ-შოუ „თქვენი დრო“ მოექცა. გადაცემა კვირაში ორჯერ - სამშაბათს და პარასკევს გადიოდა, რომელიც ჟურნალისტ ტატო გოგოლაძეს მიჰყავდა. მონიტორინგის პერიოდში გასული თოქ-შოუების დიდი ნაწილი პრეზიდენტობის კანდიდატებს დაეთმო. თემა კი პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო. გადაცემებში მიწვეულნი იყვნენ პრეზიდენტობის კანდიდატები: სერგო ჯავახიძე („სამართლიანი საქართველოსთვის“), შალვა ნათელაშვილი („ლეიბორისტული პარტია“), გიორგი ლილუაშვილი (საინიციატივო ჯგუფი), თეიმურაზ მჟავია („ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“), ნინო ჭანიშვილი (საინიციატივო ჯგუფი „მომავალი

ჩვენია“), კობა დავითაშვილი ("ხალხის პარტია"), გიორგი თარგამაძე ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), აკაკი ასათიანი ("ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი"), ავთანდილ მარგიანი (საინიციატივო ჯგუფი), ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის"), ზურაბ ხარატიშვილი ("საქართველოს ევროპელი დემოკრატები") და ნესტან კირთაძე (საინიციატივო ჯგუფი).

პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამების გარდა საანგარიშო პერიოდის გადაცემები სხვა თემების განხილვასაც დაეთმო:

- ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმა და ახალი კოდექსი;
- რუსთაველი მიმდინარე და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები;
- ქვეყანაში განვითარებული მოვლენები.
- ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;
- დევნილთა მდგომარეობა და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები;

ამ თემებზე სასაუბროდ გადაცემებში მიწვეულნი იყვნენ: რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი.

საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამების განხილვისას, ჟურნალისტი კითხვებს ძირითადად საპრეზიდენტო პროგრამაში გაწერილ საკითხებთან დაკავშირებით სვამდა. წამყვანი ტატო გოგოლაძე ცდილობდა რესპონდენტებს პროგრამაში მოცემულ ყველა საკითხზე ესაუბრათ. იგი, ძირითადად, მშრალ და ზოგად კითხვებს სვამდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში საკითხით უფრო დეტალურად ინტერესდებოდა და ცდილობდა მათგან მეტი ინფორმაცია მიეღო. ჟურნალისტი რესპონდენტების მიმართ კეთილგანწყობილი იყო.

როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი მოქმედი, ან ყოფილი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს აკრიტიკებდა, ჟურნალისტი ინტერესდებოდა, მსგავს სიტუაციაში თავად როგორ მოიქცეოდა.

მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სტუდიაში მყოფმა საპრეზიდენტო კანდიდატებმა სასაუბრო თემას გადაუხვიეს, მაგრამ ჟურნალისტს მათთვის არ მოუთხოვია, საკითხს დაბრუნებოდნენ.

ჟურნალისტი სტუმარს არაეთიკური განცხადებების გაკეთების საშუალებას არ აძლევდა. წამყვანი ასევე ითვალისწინებდა, რომ თოქ-შოუში მხოლოდ ერთი მხარე იყო მიწვეული და

არ სვამდა კითხვებს, რომლებსაც სტუმრის ოპონენტის მხრიდან პასუხის გაცემა დასჭირდებოდა. თოქ-შოუებში დასმული კითხვები თემატური და აქტუალური იყო. გადაცემებში მეტ-ნაკლებად მალალი იყო მაყურებლის აქტივობა.

**"ოდიში" (ქ. ზუგდიდი)** - მონიტორინგის პერიოდში, 25 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „არჩევანი 2013“** გავიდა. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუს ჟურნალისტი ნანა ქობალია უძღვებოდა. გადაცემაში საპრეზიდენტო კანდიდატების ზუგდიდის საარჩევნო შტაბების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გადაცემის მეორე ნაწილში ეთერში ერთ-ერთი საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატი ნესტან კირთაძე ჩაერთო, თუმცა მას სტუდიაში გამართულ დებატებში მონაწილეობა არ მიუღია.

წამყვანი ნეიტრალური იყო. იგი ცდილობდა სტუმრებისგან საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეღო. ჟურნალისტი კრიტიკულ კითხვებსაც სვამდა და ყველასგან კონკრეტული პასუხების გაცემას მოითხოვდა.

გადაცემის მსვლელობისას მოქალაქეებსაც მიეცათ საშუალება კრიტიკული მოსაზრებები გამოეთქვათ და სტუმრებისთვის შეკითხვები დაესვათ. გადაცემის წამყვანი ყველას კორექტულობისკენ მოუწოდებდა.

**მეცხრე არხი (ქ. ახალციხე)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია "მე-9 არხის ეთერში **თოქ-შოუ "დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად"** კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გადიოდა.

23 სექტემბერს ეთერი დაეთმო **თოქ-შოუს „არჩევანი 2013“**, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა. მასაც ჟურნალისტი რუსუდან გვარამაძე უძღვებოდა.

თოქ-შოუებში შემდეგი თემები განიხილეს:

- არჩევნები: საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, წინასარჩევნო გარემო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასარჩევნო კამპანიის დროს,

არჩევნების შეფასება და მოსალოდნელი ცვლილებები, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესული საჩივრები;

- ერთი წელი კოალიცია "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ;
- შეჩერებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები;
- გენერალური პროკურორის, არჩილ კვიციანიშვილის გადადგომის მიზეზები.

მთავარი სტუმრების გარდა, გადაცემებში არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი, რომლებიც დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ. დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა მაყურებელსაც ჰქონდა, სატელეფონო ზარების მეშვეობით, მათ აზრის გამოთქმა და სტუმრისთვის კითხვის დასმა შეეძლოთ.

თითოეულ თოქ-შოუში ორი ან სამი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ განსახვავებული მოსაზრებები მოესმინა. პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამებზე, ძირითადად, მათი საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები საუბრობდნენ, თუმცა სამ გადაცემაში თავად პრეზიდენტობის კანდიდატებს მიეცათ საშუალება პირდაპირ ეთერში "მე-9 არხის" მაყურებლისთვის მიემართათ: 23 სექტემბერს - გიორგი თარგამაძეს ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), 17 ოქტომბერს - ნესტან კირთაძეს (საინიციატივო ჯგუფი) და 24 ოქტომბერს - სერგო ჯავახიძეს ("სამართლიანი საქართველოსთვის").

თოქ-შოუებში მიწვეულ სტუმრებს პოზიციის დასაფიქსირებლად თანაბარი დრო და საშუალება ჰქონდათ. მათ შორის ხშირად ცხარე კამათიც იმართებოდა, თუმცა წამყვანი მოდერირებას ახერხებდა და ცდილობდა დებატები მშვიდად წარმართულიყო, რათა სტუმრებს აზრის ბოლომდე გამოთქმის საშუალება ჰქონოდათ. ჟურნალისტი მათ მიმართ კეთილგანწყობილი იყო. იგი კრიტიკულ კითხვებს მიუკერძოებლად სვამდა და კონკრეტული პასუხების გაცემას ითხოვდა.

**"თანამგზავრი" (ქ. თელავი)** - ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ „დიალოგი“ კვირაში ერთხელ პარასკეობით, 20:30 საათზე გადიოდა.

4 ოქტომბერს არხის ეთერი დაეთმო თოქ-შოუს **"არჩევანი 2013"**, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუებს ჟურნალისტი ნატო მეგუთნიშვილი უძღვებოდა.

გადაცემა "დიალოგი" ორ ნაწილად იყოფოდა: იცვლებოდა თემები და შესაბამისად სტუმრები. მონიტორინგის პერიოდში გადაცემებში შემდეგი თემები განიხილებოდა:

- არჩევნები: საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, წინასაარჩევნო პროცესში უმცირესობის ჩართულობა, არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევები;
- განათლების სისტემაში არსებული პრობლემები;
- თელავის თეატრის ახალი სეზონის გახსნა;
- პრობაციონერების რესოციალიზაციის პროცესი;
- აფხაზეთის ომის შეფასება;
- ეკოლოგია, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა.

თემებიდან გამომდინარე გადაცემის სტუმრები იყვნენ: საპრეზიდენტო კანდიდატების შტაბის ხელმძღვანელები, თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მედიის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

გადაცემებში სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატებიც იყვნენ მიწვეულნი (11 ოქტომბერს - ნესტან კირთაძე და 18 ოქტომბერს - ლევან ჩაჩუა).

გადაცემების მსვლელობისას წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და მიწვეულ სტუმრებთან დებატებში არ შედიოდა. ჟურნალისტი შეკითხვების დასმის დროს თავს იკავებდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან და ცდილობდა სტუმრებისგან დეტალური ინფორმაცია მიეღო. ჟურნალისტი სტუმრებს თანაბარ დროს უთმობდა, სიტყვას არ აწყვეტინებდა და საშუალებას აძლევდა საკუთარი აზრი ბოლომდე დაფიქსირებინათ. მწვავე და კრიტიკული შეკითხვები, ძირითადად, მოქალაქეთა სატელეფონო ჩართვებიდან ისმოდა. თუმცა, ჟურნალისტი კრიტიკულ შეკითხვებს თავადაც სვამდა. იგი დეტალურად ინტერესდებოდა საკითხით და ოპონირებას უწევდა სტუმრებს. გადაცემები საკმაოდ ინფორმაციული იყო.

**"თრიალეთი" (ქ. გორი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში გადაცემა „თქვენი აზრით“ 11 გამოშვება გავიდა. მათ ჟურნალისტი გვანცა დოლუაშვილი უძღვებოდა. გადაცემა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში წამყვანი თემასთან დაკავშირებით ვრცელ მიმოხილვას აკეთებდა და სიუჟეტს წარადგენდა. წამყვანის შესავლის ტექსტი ვრცელი და ინფორმაციული იყო. იგი მიუკერძოებლად წარმოადგენდა განსხვავებული პოზიციების მქონე პოლიტიკური ძალებისა და მთავრობის წარმომადგენლების შეხედულებებს.

მონიტორინგის პერიოდის გადაცემებში შემდეგი საკითხები განიხილეს:



- დაინიშნება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური;
- რატომ ესწრებიან კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის შეხვედრებს, სასწავლო პროცესის დროს, მასწავლებლები და სკოლის მოსწავლეები;
- არჩევნების შედეგები და ახალი პოლიტიკური რეალობა;
- უნდა წავიდეს თუ არა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან;
- სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება/არმიღების საკითხი;
- ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საჭიროება;
- ახალი პრემიერ-მინისტრის დასახელება და პოლიციის რეფორმის შედეგები;
- საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის შესაძლებლობები;
- პროკურორ არჩილ კვიციანიშვილის მიერ თანამდებობის დატოვება.

გადაცემის მეორე ნაწილში სტუმრებს პოზიციის დაფიქსირება თავისუფლად შეეძლოთ. წამყვანი კრიტიკული შეკითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და სტუმრებს ოპონირებას არ უწევდა. მათი დიალოგი, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა საკმაოდ კონსტრუქციულ, კორექტულ და მშვიდ გარემოში.

გადაცემები ინტერაქტიული იყო, მაყურებლებს საშუალება ჰქონდათ სტუმრისთვის კითხვა დაესვათ ან აზრი გამოეთქვათ.

მონიტორინგის ქვეშ ტელემაუწყებლის კიდეც ერთი **თოქ-შოუ „თვალსაზრისი“** მოექცა, რომელიც ლადო ბიჭაშვილს მიჰყავდა. გადაცემა კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, 20:30 საათზე გადიოდა. გადაცემის დასაწყისში წამყვანი პოლიტიკური პროცესების შესახებ საკუთარ თვალსაზრისს მოკლედ გამოთქვამდა. ჟურნალისტი, ძირითადად, ნეიტრალურად საუბრობდა და ნათქვამის გასამყარებლად ექსპერტთა მოსაზრებებს ციტირებდა. გადაცემებში განხილული თემები იყო:

- სამოქალაქო საზოგადოების როლი მმართველობაში;
- წინასაარჩევნო მედიაგარემო;
- საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები;
- გორისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის აღდგენა.

წამყვანი მოდერატორის როლში გვევლინებოდა, თუმცა ზოგჯერ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით თავადაც გამოთქვამდა აზრს. იგი ცდილობდა სტუმრებისგან ამომწურავი ინფორმაცია მიეღო და თითოეულ კომენტარს ჩასძიებოდა. გადაცემებში, ჟურნალისტის მხრიდან მიკერძოების და სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

14-20 ოქტომბრის კვირაში ტელეკომპანიის ეთერში საარჩევნო ფორმატის **"სპეციალური გადაცემა"** ორჯერ გავიდა. 50 წუთიან თოქ-შოუს პირველად ლადო ბიჭაშვილი, მეორედ კი გიორგი ახალკაცი უძღვებოდნენ.

გადაცემებში პრეზიდენტობის კანდიდატების კობა დავითაშვილის ("ხალხის პარტია") და თამაზ ბიბილურის (საინიციატივო ჯგუფი) საარჩევნო პროგრამებს და დაპირებებს განიხილავდნენ.

ორივე წამყვანი ცდილობდა ჩაძიებოდა სტუმრის პასუხებს და სამუალება არ მიეცათ კანდიდატებისთვის არასასურველი კითხვებისთვის თავი აერიდებინათ. წამყვანი ლადო ბიჭაშვილი საკუთარ შეფასებებსაც აკეთებდა. მან დასვა კითხვები სხვა პოლიტიკური ძალების შესახებაც, მუხედავად იმისა, რომ გადაცემაში მათი წარმომადგენელი არ ჰყავდა მიწვეული.

მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში კიდევ ერთი გადაცემა **„საპრეზიდენტო არჩევნები 2013“** გავიდა, რომელიც მთლიანად პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების და მათი ხედვების განხილვას, აგრეთვე მოსახლეობისადმი მათ მიმართვებს დაეთმო. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე და სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფების პრეზიდენტობის კანდიდატები: გიორგი ჩიხლაძე, ნესტან კირთაძე, მიხეილ (გელა) სალუაშვილი.

საპრეზიდენტო კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოსახლეობისთვის საარჩევნო პროგრამები გაეცნოთ. გადაცემის წამყვანები, ძირითადად, მოდერატორის როლში გვევლინებოდნენ, კითხვების დასმით შემოიფარგლებოდნენ და კანდიდატების მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. ისინი სტუმრებისგან კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემას ითხოვდნენ.

**"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ "ძალა უძალოთა"** (პარასკეობით) გადაიცემოდა.

27 სექტემბერს არხის ეთერი დაეთმო **თოქ-შოუს "არჩევანი 2013"**, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუებს "ძალა უძალოთა" და "არჩევანი 2013" ჟურნალისტი ლევან ალექსიშვილი უძღვებოდა.

4, 11 და 18 ოქტომბრის გადაცემებს სპეციალური, საარჩევნო ფორმატი ჰქონდა. სტუმრად მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატები იყვნენ მიწვეულნი.

4 და 11 ოქტომბრის "ძალა უძალოთას" ერთსაათიანი საეთერო დრო 2 ნაწილად იყო გაყოფილი და თანაბრად დაეთმო ორ-ორ საპრეზიდენტო კანდიდატს: 4 ოქტომბერს - ლევან ჩაჩუას (საინიციატივო ჯგუფი) და გიორგი ჩიხლაძეს (საინიციატივო ჯგუფი), 11 ოქტომბერს - აკაკი ასათიანს ("ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი") და შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია"). ხოლო 18 ოქტომბრის გადაცემის მთლიანი დრო ერთ-ერთი საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ (გელა) სალუაშვილს დაეთმო.

ტელედებატებში "არჩევანი 2013" საქართველოს პრეზიდენტობის ხუთი კანდიდატის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

გარდა საარჩევნო თემებისა, თოქ-შოუებში სხვა თემებსაც განიხილავდნენ. კერძოდ, როგორ აპირებს ხელისუფლება გურჯაანის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარებას (20 სექტემბერი), დაეხმარება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას (8 ნოემბერი). 20 სექტემბრის გადაცემის სტუმრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო 8 ნოემბერს თოქ-შოუში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ჟურნალისტი და პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელიც იყვნენ მიწვეულნი.

გადაცემების წამყვანი ლევან ალექსიშვილი ისეთ კითხვებს სვამდა, რომ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა პრეზიდენტობის კანდიდატების, მათი პროგრამებისა და პრიორიტეტების და, ზოგადად, გადაცემებში განხილული თემების შესახებ მეტი ინფორმაცია მიეღო. იგი სტუმრებისგან კონკრეტულ, ფაქტებით გამყარებულ პასუხებს მოითხოვდა. თუმცა, კითხვების დასმისას მიკერძოება არ იგრძნობოდა. იგი რომელიმე მხარისადმი საკუთარ დამოკიდებულებას არ აფიქსირებდა. წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის როლს ასრულებდა, თუმცა, ზოგჯერ, ცხარე კამათშიც ერთვებოდა. გადაცემებში დაბალანსებულად შუქდებოდა სხვადასხვა მხარის პოზიციები. ყველა სტუმარს საშუალება ჰქონდა საკუთარი პოზიცია თავისუფლად გამოეხატა.

თოქ-შოუების მაყურებელი თავადაც მონაწილეობდა გადაცემებში: მათ საშუალება ჰქონდათ სტუდიაში მიწვეული სტუმრებისთვის კითხვები დაესვათ. ერთსაათიან გადაცემებში მოქალაქეთა ჩართულობა საკმაოდ მაღალი იყო. ჟურნალისტი ცდილობდა, სტუმრებს ყველა იმ თემაზე ესაუბრათ, რომლითაც მოქალაქეები იყვნენ დაინტერესებულნი.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო პერიოდში, 23 სექტემბერს ტელეკომპანიის ეთერში გავიდა თოქ-შოუ „არჩევანი 2013“, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობას ოთხი საპრეზიდენტო კანდიდატის წარმომადგენელი იღებდა. თოქ-შოუს წამყვანმა, თამთა დოლიძემ მიწვეულ სტუმრებს საარჩევნო პროგრამის წარსადგენად 3-3 წუთი მისცა. ჟურნალისტი მოკლე შეკითხვებს სვამდა და ცდილობდა ყველა სტუმრისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა. წამყვანი სტუმრების მიმართ ნეიტრალური იყო. იგი ინტერესდებოდა თუ რა გეგმა ჰქონდა თითოეულ საპრეზიდენტო კანდიდატს პრობლემების მოსაგვარებლად. თუ რესპონდენტი ზოგადი პასუხით შემოიფარგლებოდა, ჟურნალისტი ცდილობდა სტუმრისგან კონკრეტული პასუხი და უფრო მეტი ინფორმაცია მიეღო.

მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ ეთერი სხვა თოქ-შოუებსაც ეთმობოდა: გავიდა: „თქვენთან ერთად“, „საზოგადოებრივი დარბაზი“ გადაცემების თემები იყო:

- ადგილობრივი თითმმართველობა და სოფლის მხარდამჭერი პროგრამები;
- ოზურგეთის რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარება;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული პრობლემები;

გადაცემების სტუმრები, ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ. ჟურნალისტი სტუმრებს აზრის გამოთქმის საშუალებას თანაბრად აძლევდა და მოკლე კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. ცდილობდა, სტუმრისგან კონკრეტული პასუხი და უფრო მეტი ინფორმაცია მიეღო.

არხის ეთერში ასევე გავიდა დოკუმენტური ფილმი, რომლის შემდეგაც სოციალურ თემებზე დისკუსია გაიმართა. გადაცემის დაწყებამდე წამყვანმა აღნიშნა, რომ ფილმი და სპეციალური გადაცემა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ იყო მომზადებული. ფილმის ჩვენების შემდეგ არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების შესახებ საუბრობდნენ. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მთავრობას სოციალურ თემატიკაზე გააქტიურებისაკენ მოუწოდებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მათ მიერ ამ კუთხით გატარებული სამუშაოსა და სამომავლო გეგმების შესახებ საუბრობდნენ. გადაცემაში თემის გარშემო მრავალფეროვანი მოსაზრებები იყო წარმოდგენილი.

**"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა)** - საანგარიშო პერიოდში, 11 ოქტომბერს, ტელეკომპანია „იმერვიზიაზე“ **თოქ-შოუ „არჩევანი 2013“** გავიდა. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მზადდება. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუ მთლიანად წინასაარჩევნო თემატიკას მიეძღვნა. სტუდიაში მიწვეულნი იყვნენ იმ საპრეზიდენტო კანდიდატების ჭიათურის საარჩევნო შტაბების წარმომადგენლები. თოქ-შოუს, რომელიც სამი ნაწილისგან შედგებოდა, ჟურნალისტი ინგა ჯაჯანიძე უძღვებოდა. პირველ ნაწილში საპრეზიდენტო კანდიდატების წარმომადგენლებს კანდიდატების პროგრამებსა და საკუთარ ხედვებზე სასაუბროდ თანაბარი დრო დაეთმო. მეორე ნაწილში დებატები გაიმართა, ხოლო დასკვნით ნაწილში მათ მოსახლეობის სატელეფონო შეკითხვებს უპასუხეს. სტუმრებს საკუთარი მოსაზრების გამოხატვის საშუალება შეუზღუდავად ეძლეოდათ. თოქ-შოუს წამყვანი მედიატორის როლში გვევლინებოდა. იგი გადაცემის მსვლელობისას საკუთარ პოზიციებს თითქმის არ აფიქსირებდა. ჟურნალისტი მხარეებს საუბრისთვის თანაბარ დროს უთმობდა.

**"მეგა ტვ" (ქ. ხონი)** - მონიტორინგის პერიოდში არხის ეთერში **თოქ-შოუები "ფორუმი"** (16, 23, 30 სექტემბერი) და **"არჩევნები 2013"** (10, 23, 30 ოქტომბერი) გავიდა. თოქ-შოუები ჟურნალისტ ნანა თოშხუას მიჰყავდა.

გადაცემების თემები იყო:

- წინასაარჩევნო გარემოს შეფასება;
- სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა და მისი განვითარების ტემპი;
- რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულხლართების გავლება;
- საარჩევნო პროცესები, ქუთაისის საოლქო კომისიის მიერ გაწეული სამუშაო;
- არჩევნების მიმდინარეობა, გამოვლენილი დარღვევები;

გადაცემების სტუმრები, ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ. წამყვანი სტუმრებთან ერთად პირდაპირ ეთერში წინასწარ შერჩეულ საკითხებს განიხილავდა. ჟურნალისტი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და საკუთარ პოზიციას თითქმის არ აფიქსირებდა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ შეუზღუდავად გამოეთქვათ აზრი. წამყვანი ცდილობდა, კითხვებით ჩაძიებოდა სტუმარს. გადაცემები, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მაყურებელი თემის ირგვლივ ამომწურავ ინფორმაციას იღებდა.

**"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი)** - მონიტორინგის პერიოდში „მე-9 ტალღის“ ეთერში ყოველ პარასკევს დაახლოებით ერთსაათიანი **თოქ-შოუ „თემა“** გადიოდა.

18 ოქტომბერს, ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „არჩევანი 2013“** გავიდა. თოქ-შოუ „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მზადდება და IREX-ის G-MEDIA პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება.

თოქ-შოუები ჟურნალისტთა აბსარიძეს მიჰყავდა. გადაცემების თემები იყო:

- წინასაარჩევნო გარემო სამეგრელოს რეგიონსა და მთლიანად ქვეყანაში - ექსპერტებისა და საარჩევნო შტაბების წარმომადგენელთა შეფასებები;
- ინტერვიუ ფოთის მაჟორიტარ დეპუტატ, ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრ ეკა ბესელიასთან;
- საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამები და მათი პრიორიტეტები;
- 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შეფასება;
- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრების მიერ ფოთში რუსეთის დროშის დაწვის ფაქტის შეფასება;
- ფოთში მიმდინარე პროცესები;

თოქ-შოუების სტუმრები იყვნენ: პოლიტიკური გაერთიანებების საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეები, ფოთის მერი, საპრეზიდენტო კანდიდატების ფოთის საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გადაცემების წამყვანი დეტალურად ინტერესდებოდა თოქ-შოუს თემის და ზოგადად საუბრის დროს წამოჭრილი საკითხების დეტალებით. თუ სტუმრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ბუნდოვანი იყო, ჟურნალისტი მას საკუთარ მოსაზრებებს აკონკრეტებინებდა. წამყვანი ნეიტრალურ, თუმცა ხშირად კრიტიკულ კითხვებს სვამდა, მაგრამ პოლიტიკური პროცესებისა თუ პარტიების მიმართ საკუთარი პოზიციას არ აფიქსირებდა.

დებატების შემთხვევაში ჟურნალისტი სტუმრებს თანაბარ დროს უთმობდა. შესაბამისად, თოქ-შოუში მხარეები მაქსიმალურად დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი.

როდესაც გადაცემის სტუმრები სასაუბრო თემას გადაუხვევდნენ, ჟურნალისტი მათ მოუწოდებდა, მხოლოდ გადაცემის თემის შესახებ ესაუბრათ. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემის სტუმარი ოპონენტებს არაკორექტულად მოიხსენიებდა, ჟურნალისტი სწრაფად რეაგირებდა და სტუმარს თავშეკავებისკენ მოუწოდებდა.

თოქ-შოუებში საკმაოდ აქტიურად იყი ჩართული მაყურებელი, რომელიც საკუთარ მოსაზრებას სატელეფონო ზარის საშუალებით აფიქსირებდა. ჩვენი ყურადღება 8 ნოემბრის თოქ-შოუმ მიიქცია. ამ დღეს პირველი სატელეფონო ზარის ავტორს, რომლის კითხვაც ეკა

ბესელიას შეეხებოდა, ჟურნალისტმა აზრის დასრულების საშუალება არ მისცა. მოქალაქე მერს ეკითხებოდა: "რატომ უთმენ ამდენს ეკა ბესელიას. რა გახდა ეს ქალი. რატომ აგვარჩევინე შვილო ასეთი ქალი, რომელიც სულ..." ჟურნალისტმა მას კორექტულობისკენ მოუწოდა და სატელეფონო ზარი გაითიშა. მიგვაჩნია, რომ მოქალაქის კითხვა არაკორექტული არ ყოფილა. ჟურნალისტმა მაყურებელს არ მისცა საშუალება, რომ ეკა ბესელიას მისამართით კრიტიკული აზრი გამოეთქვა.

### **ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“**

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“, „25-ე არხი“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ და „მეცხრე არხი“.

მონიტორინგის ქვეშ ტელეჟურნალის 8 გადაცემა მოექცა. "მრავალკუთხედის" საეთერო დრო ეთმობოდა სიუჟეტებსა და დისკუსიას. სტუდიაში, ჩვეულებრივ ორი ან სამი სტუმარი იყო მიწვეული. თუმცა, საანგარიშო პერიოდის სამ გადაცემაში სტუმრები მიწვეულნი არ ყოფილან.

ტელეჟურნალის სიუჟეტები პრობლემების სიღრმისეული ანალიზით და მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები ინფორმაციას მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი და გაშუქების ნეიტრალური ტონი სჭარბობდა. სიუჟეტებში წარმოდგენილი ფაქტები წყაროთა კომენტარებით იყო გამყარებული, თემები სხვადასხვა კუთხით და ამბის წინისტორიით იყო ნაჩვენები.

მონიტორინგის ქვეშ მოქცეულ გადაცემებში ტელეჟურნალმა რეგიონებში საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობები გააშუქა. მომზადდა დაიჯესტი, რომელიც საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო კამპანიას ეხებოდა, ჟურნალისტი რეგიონებში ინფორმაციის ნაკლებობაზე მიუთითებდა.

## სტუდია "რეს" ტელედისკუსიები

მონიტორინგის პერიოდში რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში სტუდია "რეს" 50 წუთიანი ტელედისკუსიები გადიოდა. გადაცემები თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ:

- დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობა (*"გურჯაანი", "მეგა ტვ.", "მე-9 არხი"*);
- ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება (*"გურჯაანი"*);
- ვიზების ლიბერალიზაცია (*"მეგა ტვ.", "მე-9 არხი", "თრიალეთი"*);
- ხუდონჰესის ეკონომიკური ეფექტი (*"გურჯაანი"*);
- ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენის პროცესში (*"გურჯაანი"*);
- სამედიცინო პროექტების როლი მშვიდობის მშენებლობაში (*"თრიალეთი", "მეგა ტვ.", "გურჯაანი"*);
- როგორ შუქდება წინასაარჩევნო პროცესები მედიაში (*"მე-9 ტალღა"*);
- ახალგაზრდობის პოლიტიკა (*"მეგა ტვ."*);
- ოკუპაციის ხაზი (*"გურჯაანი"*)

ტელედისკუსიები, რომლებსაც ჟურნალისტი ზვიად ქორიძე უძღვებოდა, სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. გადაცემების წამყვანი მის მიერ დასმული კითხვებით ცდილობდა, თემები მეტად გაეშალა და სტუმრებისგან ამომწურავი პასუხები მიეღო.

## გადაცემა "თქვენი პარლამენტი"

მონიტორინგის ქვეშ მოექცა გადაცემა "თქვენი პარლამენტი", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

გადაცემა აშუქებს პარლამენტის მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების საქმიანობას, წარმოაჩენს მათ მოსაზრებებს საკანონმდებლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

5-10 წუთიანი გადაცემების თემებს რეგიონალური მაუწყებლები განსაზღვრავენ.

"პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრში" მიწვეულ საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის და დამოუკიდებელ დეპუტატებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით რეგიონალური ტელევიზიების მიერ მიწოდებულ კითხვებზე უწევთ პასუხის გაცემა.

მონიტორინგის პერიოდში "თქვენი პარლამენტი" განიხილავდა შემდეგ თემებს:

- "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები;



- საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები;
- კანონის გამკაცრება "გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში (112)" განხორციელებული ანონიმური მუქარის ზარების ან შეურაცხყოფის მიყენების გამო;
- ცვლილებების შეტანა „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ კანონში;
- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გეგმა;
- განსაკუთრებული ნიჭის ახალგაზრდების უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩაირიცხვა;
- დევნილების თანაბარ პირობებში ჩაყენება;
- კანონ-პროექტი "სასოფლო-სამეურნეო მიწის სტატუსის შეცვლის შესახებ";
- სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში შესული ცვლილებები;
- კანონ-პროექტი "ქონებრივი დეკლარაციის წარმდგენ პირთა წრის გაფართოების შესახებ";

რეგიონალური ტელეარხების ეთერში გასულ გადაცემებში, ძირითადად, ერთი მხარე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ან დამუკიდებელი პარლამენტარები მონაწილეობდნენ, რადგან უმცირესობის წევრები გადაცემებში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებდნენ. ამიტომ, ხშირ შემთხვევებში, გადაცემებში განსხვავებული მოსაზრებები არ ფიქსირდებოდა. გადაცემა, რომელსაც ჟურნალისტი ანა კანაპლოვა უძღვებოდა, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. სტუმარს 25 წამი ეძლეოდა კითხვაზე საპასუხოდ.

### **სოციალური რეკლამების მონიტორინგი**

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დაკვირვება მოხდება სოციალურ რეკლამებზე. "რეკლამის შესახებ კანონის" მე-12 მუხლში სოციალური რეკლამა განმარტებულია როგორც "საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას (9.06.2006 N3245)". დაკვირვება მოხდება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სოციალური რეკლამა ამ სტატუსის რეკლამისთვის კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხომ არ შეიცავს "ფარული პოლიტიკური რეკლამის" (სამთავრობო დაწესებულებების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული

მომსახურების რეკლამირება) ნიშნებს. თვისებრივი კვლევის პარალელურად დაითვლება "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნების შემცველი სოციალური რეკლამების ეთერში გასვლის სიხშირეც.

**მონიტორინგის შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნები არ შეინიშნებოდა.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.  
Sustainable Democracy.

*ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.*